ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 116 (18658) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარესთან, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟ. ე. დოს სანტუშთან მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღწია მოლაპარაკების შედეგები და დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გეზი ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კეთილსურვილს ავლენს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მისი სუვერენიტეტისა და რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში, განამტკიცებს სოლიდარობას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ნამიბიელი ხალხისა და აფრიკის კონტინენტის სხვა ხალხების ბრძოლისადმი.

მოიწონეს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან ბუ ტხონგთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვის საუბრის შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განხილა რაიონული, სოფლის, სამხარეო, რესპუბლიკური (სსრ) აგროსამრეწველო გაერთიანებათა ფორმირებისა და კადრებით მათი დაკომპლექტების მიმდინარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, დიდი მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით. ყველგან შეიქმნა და ამოქმედდა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფას და მათი საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, სოფლის კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალმა ორგანოებმა უფრო სწრაფად მოიკრიბონ ძალა, ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, აითვისონ მუშაობის ნამდვილად საქმიანი სტილი.

პარტიული კომიტეტების უპირველესი ამოცანაა გაუთმაობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უშუალოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითს კოლექტივებში, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, აამაღლონ აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, უკეთ მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის, გაძლიერონ მუშაობა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განხილა აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი სხვა საკითხები.

ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

Ო. ᲕᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე

ᲔᲠᲗᲘ წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე, მის ეკონომიკაზე. პლენუმზე მიღებული დოკუმენტები შევა კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ოქროს ფონდში, რადგან ისინი აღნიშნავენ ეტაპს, რომელიც ანლებურად ავლენს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის შესაძლებლობებსა და უპირატესობებს.

როგორც ცნობილია, მაისის პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა 1990 წლამდე პერიოდისათვის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხებზე. ბევრს მეტყველებს მარტო ამ გადაწყვეტილებათა ჩამოთვლა: „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესება“, „ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებანი“, „პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ხარისხის გაუმჯობესებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი“, „მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშაკთა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დამკვიდრების დამატებითი ღონისძიებანი“, „სოფლის მოსახლეობის საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი“, „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, მათი როლისა და პასუხისმგებლობის გადიდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში“.

მაისის პლენუმმა პარტიასა და ხალხს მისცა ვრცელი პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა სურსათით საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფის, მისი ცხოვრების დონის ამაღლების, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების როგორც მომდინარე, ისე პერსპექტიული ამოცანები, დასახა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის კონკრეტული გზები.

სასურსათო პროგრამა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მეცნიერთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა კოლექტიური მეცადინეობის ნაყოფია. პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ, სოფლის მეურნეობაში დაბანდებულმა დიდმა სახსრებმა, მილიონობით ადამიანის მეცადინეობამ უზრუნველყო სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდება. მიუხედავად ამისა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, სასურსათო პრობლემა ჯერ არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. კერძოდ, ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნას ხორცისა და რძის ნაწარმზე, არ გვყოფნის ბოსტნეული და ხილი, ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში შეფერხებებია სასურსათო საქონლის ვაჭრობაში.

სწორედ ამიტომ იქნა მოწონებული სასურსათო პროგრამა, რომელიც განასახიერებს კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრისადმი მიზნობრივ კომპლექსურ მიდგომას. ასეთი მიდგომის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ის, რომ ერთმანეთს დავუკავშიროთ, გავაერთიანოთ როგორც თავად სოფლის მეურნეობის, ისე მისი მომსახურე მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის დარგების მუშაობა, მთელი მათი საქმიანობა დავუქვემდებაროთ საერთო საბოლოო მიზანს — მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოებასა და მომხმარებლისათვის მის უდანაკარგოდ მიწოდებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ სასურსათო პრობლემის — მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანის — გადაჭრაში მაქსიმალური წვლილი უნდა შეიტანოს ყოველმა რესპუბლიკამ, მხარემ, ოლქმა, რაიონმა, სახალხო მეურნეობის ყოველმა დარგმა, ქალაქისა და სოფლის ყველა შრომითმა კოლექტივმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები განხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა. პლენუმმა განსაზღვრა სასურსათო პროგრამის განხორციელებაში რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე მდგომი მთავარი პრობლემები და ამოცანები, გააანალიზა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესი.

დღეს უკვე ცხადია, რომ პარტიის აგრარული პოლიტიკა წარმატებით ხორციელდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბოლო 15 წელიწადში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებებმა შეადგინა 4,8 მილიარდი მანეთი. დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის გაკეთდა ბევრად მეტი, ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მთელი განვლილი წლების მანძილზე. მელიორირებული მიწების ფართობი გაიზარდა 90 ათას ჰექტარით, ხოლო სამელიორაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრები მერვე ხუთწლედის 232 მილიონი მანეთიდან 700 მილიონამდე გაიზარდა მეთერთმეტე ხუთწლედში. ბოლო 10 წლის მანძილზე კოლმეურნეობების წმინდა შემოსავალი და საბჭოთა მეურნეობების მოგება თითქმის გაორკეცდა. შარშან სასურსათო საქონლის ვაჭრობის მოცულობამ 2,5-ჯერ და მეტად გადააჭარბა 1965 წლის დონეს. რესპუბლიკა სისტემატურად უზრუნველყოფს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების შეწონასწორებულ განვითარებას, დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას სახალხო მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ბევრი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. შარშან, მაგალითად, მეტად არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, წარმატებით შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებელი ნაკლებია, ვიდრე მთლიანად კავშირში. სამწუხაროდ, მისი წარმოება ჩვენში სეერთოდ უფრო ნელა იზრდება, ვიდრე დამზადება. ჯერ კიდევ საკმარისად ეფექტიანად არ გამოიყენება მელიორირებული მიწები, განსაკუთრებით სარწყავი მიწები. ნელი ტემპით იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის მაჩვენებლები, ჯერ კიდევ დიდია დანაკარგები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს.

რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს უკვე უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად ამაღლდეს ძირითად სასურსათო საქონლზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის შარშან გაწეული მუშაობის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების სასურსათო პროგრამების ადგილებზე კონკრეტიზაცია და დეტალიზაცია. დღეისათვის სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკურ კომისიებში, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამბ. ე. ა. შევარდნაძე მეთაურობს, განიხილეს როგორც სასურსათო პროგრამები, ისე მათი რეალიზაციის მიმდინარეობა 33 რაიონში. ამ პროგრამების განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ რაიონების აბსოლუტურ უმრავლესობაში სწორად ესმით ამ პროგრამების რეალიზაციის გზები, ეძიებენ უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების შემდგომი განვითარების, იმ ობიექტების დროულად ამოქმედების დამატებითს შესაძლებლობებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მოკლე დროში მივაღწიოთ სასურსათო პროდუქტების მაქსიმალურ მატებას, დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერული ნამუშევრები.

განვლილმა წელმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ ცხოველუნარიანია მართვის ახალი ადგილობრივი ორგანოები — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები. მოწმენი ვართ იმისა, რომ რაიონული მასშტაბით აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სფეროში გაჩნდნენ ახალი ტიპის ხელმძღვანელები, რომლებსაც შეუძლიათ იაზროვნონ მასშტაბური კატეგორიებით, კომპლექსურად დაგაჭრან ყველა პრობლემა, მთლიანად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა არა მარტო მიწისათვის, არამედ რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის მდგომარეობისათვის. ახლა მეტად იცვლებენ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის დამატებითის რეზერვებსა და შესაძლებლობებს. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები თითქმის ყველგან ამუშავებენ და საკმაოდ ეფექტიანად ასრულებენ ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე სამშენებლო ბაზის შექმნის, გადამამუშავებელ სიმძლავრეთა გაზრდის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში მოსახლეობასთან სოზოგადოებრივი მეურნეობების კოოპერაციის გაფართოების პროგრამას.

განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ იქმნება და გამოიყენება რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ცენტრალიზებული ფონდები. მიმდინარე წლის დამდეგს ამ ფონდებში თავმოყრილი იყო დაახლოებით 34 მილიონი მანეთი. ამასთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილად მოდის თითქმის 27 მილიონი მანეთი, ყველაზე დიდი თანხა — 1-დან 4 მილიონ მანეთამდე თავმოყრილი იყო მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, წითელწყაროს, გორის, გულრიფშის, ლაგოდეხის, ცხაკაიას და ზოგიერთი სხვა აგროსამრეწველო გაერთიანების ხელში. ეს ფონდები ძირითადად მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყენეს. ამ ფონდების გამოყენებისადმი სამქმიანი მიდგომის ფაქტები საკმაოდ ბევრია. საკმარისია აღინიშნოს, რომ თითქმის არ არის ისეთი რაიონი, სადაც არ აემოქმედებინოთ ბლოკებისა და აგურის გამომშვები, სამშენებლო ქვის მომპოვებელი საამქროები ან არ გვარდებოდეს მათი მუშაობა. კოლმეურნეობებისა და რაიონული გაერთიანებების სახსრებით აშენებულია და მოქმედებს 22 ჩაის მიკროფაბრიკა (წელს ამუშავდება კიდევ 3 ასეთი ფაბრიკა).

ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ბრიგადული და კოლექტიური იჯარის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემების დანერგვისათვის, თუმცა ტემპი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. დღეისათვის შექმნილია 68 კომპლექსური მექანიზებული ბრიგადა 600-მდე მექანიზატორის შემადგენლობით. ბრიგადული იჯარით დასამუშავებელი საერთო ფართობია 75,6 ათასი ჰექტარი, მათ შორის მექანიზებული ბრიგადების მიერ დასამუშავებელი — 37,6 ათასი ჰექტარი. როცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის კომპლექსურ მექანიზაციაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სიმინდისა და სოიის სტაბილურ უხვ მოსავალს იწვევენ აბაშის რაიონის მექანიზატორები. ქების ღირსი არიან გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებიც, რომლებმაც დანერგეს სიმინდის მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგია, შაქრის ჭარხლის, ლობიოსა და სხვა კულტურების წარმოების კომპლექსური მექანიზაცია. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა გარდაბნის რაიონშიც, რომელსაც მეცნიერების პოლიგონი ეწოდა, აგრეთვე ლანჩხუთის, ხობისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ყოველივე ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელები ყველგან ჯეროვანი სიმტკიცით, შემოქმედებითად როდი ეკიდებიან სამეურნეო საკითხების გადაწყვეტას. ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მანევრირებისას იღებენ ხოლმე უსაფუძვლო გადაწყვეტილებებს, სახსრებს ყოველთვის დანიშნულებისამებრ არ გამოიყენება. როგორც ბოლო შემოწმებებმა გვიჩვენა, ასეთი ფაქტები დაშვებულია ზუგდიდის რაიონში, სადაც რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ წარმოების გაფართოება-განმტკიცების ფონდიდან 15 ათასი მანეთი გამოყო რაიონული საავადმყოფოს კაპიტალური შეკეთებისათვის: გაგრის რაიონში იმავე ფონდიდან რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ ქალაქის საავადმყოფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 100 ათასი მანეთი გადარიცხა. ამგვარი დარღვევები მოხდა აგრეთვე გულრიფშის, ხელვაჩაურის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში.

გასული წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებსა და რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის ზუსტი საქმიანი ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით. თუმცა ჯერ ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად აღმოიფხვრა უწყებრივი მიდგომა სამეურნეო ამოცანათა გადაჭრისათვის, დარგთშორისი უთანხმოებანი, მაგრამ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები ეძიებენ და პოულობენ სარგებლობას რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან პარტნიორობაში, მაშინაც კი, როცა საქმე წმინდა დარგობრივი ამოცანების გადაწყვეტას ეხება.

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა რესპუბლიკის წინადადება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სახსოფლტექნიკის ბაზაზე შექმნილიყო მართვის ერთი ორგანო — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი. სახელმწიფო კომიტეტმა ოპერატიულად უშუალოდ უნდა უხელმძღვანელოს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს და მთლიანად აგოს პასუხი სოფლის მეურნეობის საქმის ვითარებისათვის.

შარშან ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურმა საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭომ. მან 100-ზე მეტი დარგთშორისი პრობლემური საკითხი განიხილა და მათ გამო კონკრეტული გადაწყვეტილებანი მიიღო. ახლა დღის წესრიგშია საბჭოს ფუნქციების შემდგომი გაფართოება, რესპუბლიკური მასშტაბით აგროსამრეწველო კომპლექსისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესება.

მომდინარე წელი მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. დასაძლევია შარშანდელ სტიქიურ უბედურებათა შედეგები. სწორედ ამიტომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განუხრელად ვხელმძღვანელობდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ს. ვ. ანდროპოვის მითითებებით, ყველგან შეურიგებლად ვებრძოდეთ უყაირათობასა და მფლანგველობას, ყოველმხრივ უზრუნველვყოფდეთ შრომელთა აქტიურობას, ვიჩენდეთ ინიციატივას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობებში, მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებითი რეზერვების გამოვლენის საქმეში. მთელმა პოლიტიკურმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ უნდა უზრუნველყოს პარტიის მითითების განხორციელება: სასურსათო პროგრამის შესრულება არ უნდა გავაჭიანუროთ, ამ ამოცანის გადასაწყვეტად გაღებული უდიდესი სახსრები უკუგების უნდა გვაძლევდეს უკვე დღეს, და უფრო მეტს — ხვალ. (საქინფორმი).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალის ნამდვილი მშვენებაა რუსთაველის სახელობის თეატრის შენობა, რომელსაც დიდი მხატვრულ-ისტორიული ღირებულება აქვს. აქ მოშუშავე დასმა მეტად გაუთქვა სახელი ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, იგი ღირსეულად წარმომადგენლობს ჩვენს დიად სამშობლოს საზღვარგარეთ.

წლების მანძილზე თეატრის შენობა არაერთგზის გადაკეთებულა და რეკონსტრუირებულა, ამიტომ ნაწილობრივ დაკარგა თავისი პირვანდელი სახე, არც დამხმარე ნაგებობები არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. გარდა ამისა, შენობა დაძველდა და მოითხოვდა მზიდი კონსტრუქციების განმტკიცების გადაუდებელი სამუშაოების განხორციელებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კაპიტალურად შეკეთებულიყო რუსთაველის სახელობის თეატრის შენობა, რესტავრირებულიყო მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით მისი ყველაზე ღირებული ნაწილები. ეს სამუშაოები ერთი წლის წინათ დაიწყო და ახლაც გრძელდება.

თეატრის ქვედა ვესტიბიულში, იქ, სადაც ერთ დროს თეატრალური კაფე „ქიმერიონი“ იყო, რემონტის პროცესში მშენებლებმა აღმოაჩინეს კედლის მხატვრობა, რომელიც გამორჩენილი მხატვრების დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, სერგი სუდეიკინის ხელით იყო შესრულებული. გადაწყდა მხატვრობა დაეტოვებინათ მხახველთა დასათვალიერებლად, მოეხდინათ მისი რესტავრაცია და კონსერვაცია.

კაპიტალური რემონტის შემდეგ თეატრს ექნება მყუდრო ფოიეები, გასახდელები, ბუფეტი, სარეპეტიციო დარბაზები, მსახიობთა ოთახები, სცენისა და განათების ახალი მოწყობილობა. ყოველივე ეს მეტად თანამედროვეა და როგორც მაყურებლისათვის, ისე მსახიობებისათვის კეთილმოწყობილის გახდის თეატრს.

რუსთაველის სახელობის თეატრის რემონტისა და რესტავრაციის მიმდინარეობას გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. აღინიშნა, რომ მაღალხარისხოვნად წარმოებს სხმუშაობები, ითქვა, რომ ყოველდღიური ყურადღება უნდა ეთმობოდეს მერემონტეთა საქმიანობებს, რომლებიც აპირებენ მომავალი წლის ოქტომბრისათვის დაამთავრონ სამუშაობები. უნდა შედგეს ზუსტი გრაფიკი, ამასთან განსაკუთრებული კონტროლი დაუწესდეს როგორც მასალებისა და მოწყობილობის მიწოდებას, ისე სამუშაოთა მთელ მიმდინარეობას.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად იყვნენ თეატრის მუშაკები, კულტურის მოღვაწენი, რომლებმაც ხაზი გაუსვეს, რომ შენობის რემონტი და რესტავრაცია შემოქმედებითი კოლექტივისათვის ზრუნვის მკაფიო მაგალითია, მოწმობს არქიტექტურის კიდევ ერთი ძეგლისადმი სათუთ დამოკიდებულებას.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ეწვია აგრეთვე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრს, რომელიც მოეწყო ყოფილ კინოთეატრ „სპარტაკის“ შენობაში.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად იყვნენ გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, ო. ე. ჩერქეზი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი. სტუმრებს განმარტებას აძლევდნენ რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ი. იაკაშვილი, რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. რ. სტურუა და რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ე. ნ. გუგუშვილი. (საქინფორმი).

ᲙᲠᲔᲛᲨᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜ ᲤᲝᲗᲝᲠᲚᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეებს განზრახული აქვთ წლეულს ყოველ ჰექტარზე მოკრიფონ 10-10 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კარგად მოვლილი პლანტაციები ამის საშუალებას იძლევა.

1983 წლის აპრილის პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკაში ცნობილი მეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდები უჩვენებენ თავდადებული შრომის, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, დისციპლინის მაგალითებს.

ახალგაზრდა მეჩაიეები, რომლებიც მზარს უსწორებენ მოწინავე კოლმეურნეებს, გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის დავალებებს, კრეფენ პირველი ხარისხის ფოთოლს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ნატანების კოლმეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის კომკავშირელი ხელმძღვანელი დოდო გადახაძე. გეგმით გათვალისწინებული 4 ტონის ნაცვლად მან განზრახული აქვს ხუთწლედის მესამე წლის სეზონში გაიოროვნებულ ნაკვეთში მოკრიფოს 7 ტონა ჩაის ფოთოლი.

Ზ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ე. კ. პერვიშინი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფება, შეხვდა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, რომლებმაც იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 662 ბორჯომის საარჩევნო ოლქში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა, რომელზეც შეიკრიბნენ ამ ოლქში შემავალი რაიონების მეშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, გაიმართა ბორჯომში.

შეხვედრა გახსნა პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ვ. გურგენიძემ. მან აღნიშნა ამხანაგ ე. კ. პერვიშინის დიდი დამსახურება ბევრი პრობლემისა და საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე, კერძოდ, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების მშრომელთა წინაშე დგას.

შეხვედრაზე გამოსულმა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს იმ განაწესებზე, რომლებიც შესრულდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ე. კ. პერვიშინის დახმარებითა და ხელშეწყობით. კერძოდ, აღინიშნა, რომ საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონებისათვის გამოიყო უახლესი ტელეაპარატურა, საზომი ხელსაწყოები, რუტრანსლატორი, კავშირგაბმულობის საშუალებანი. ბორჯომში ჩამოტანილია ბურთულებიანი წისქვილი ღორღის, ანდეზიტის ქვის გადასამუშავებლად, ოლეგაციები, მოსკოვისა და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები.

კრება გახსნა აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უბილავამ.

საზეიმო კრების საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტ

20 მაისი
ულტიმატუმი
ფაქტები მოვლენები
საკლასო იუწყება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII კლენუმის შესახებ

ავტომობილი წონას იკლებს

ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს ათი მილიონი მანეთი წლიური ეფექტი მისცა საკონსტრუქტორო ნამუშევრებმა, რის შედეგადაც ორლერძიანი ნახევარმისაბმელი ერთლერძიანად გადააკეთეს. ამ სიახლის მთავარი შედეგია ის, რომ თითოეულ ნახევარმზე ზოგავენ 500 კილოგრამ დეფიციტურ ლითონს, ნახევარმისაბმელის წონა ერთი ტონით შემცირდა.

ქუთაისელი ავტომობილმშენებლები დღენადაგ ეძებენ წარმოების მასალატევადობის შემცირების გზებს, — თქვა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ბ. შ. სიხარულიძემ. — მოყვანილი მაგალითი ჩვენი კონსტრუქტორების ბოლო ნაშუშევარია. იგი საშუალებას გვაძლევს, აღნიშნული უპირატესობის გარდა, მნიშვნელოვნად გავამარტივოთ ნახევარმისაბმელების დამზადების ტექნოლოგია, შევამციროთ მათი დამზადების შრომატევადობა.

თუ თვალს გავადევნებთ რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენ მიერ სერიულად გამოშვებული სატვირთო ავტომობილის წონას, შეგვიძლია დავრწმუნდეთ ქარხნის კონსტრუქტორების, ეკონომისტების, რაციონალიზატორების მუშაობის კონკრეტულ საბოლოო შედეგში, რომლის მიზანია პროდუქციის ლითონტევადობის შემცირება. მაგალითად, ქუთაისის ავტოქარხნის ავტომობილების სხვადასხვა პირობებში ექსპლოატაციის ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ შეიძლებოდა ავტომობილის სიმკვიდრისათვის ზიანის მიუყენებლად შეგვეცვალა ფოლადის ფურცლის სისქე მთელ რიგ დეტალებში. ამის შედეგად თითოეული მანქანა 5-6 კილოგრამით „გახდა", საწარმოს მასშტაბით კი ლითონის ეკონომიამ წელიწადში 122 ტონა შეადგინა. მარშან ჩვენმა რაციონალიზატორებმა — აქვე უნდა ვთქვათ, რომ მასალების ეკონომიისათვის ყველა წინადადების 35-40 პროცენტი სწორედ მათ ეკუთვნით — გვირჩიეს გამოგვყენებინა ეგრეთ წოდებული გრეხილი პროფილები. ამ წინადადების დანერგვით თითოეული ავტომობილი კიდევ 132 კილოგრამით შემსუბუქდა, ხოლო ქარხნის წლიურ დანაზოგს 104 ტონა ლითონი შეემატა. ზოგიერთი კვანძის ფურცლოვანი გლინვის ნაცვლად თუჯის სხმულზე გადაყვანამ 244 ტონა ლითონი დაგვიზოგა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

— **პატივცემულო ბადრი, ავტომობილმშენებლებისაგან მოითხოვენ პროდუქციის ლითონტევადობის შემცირებასთან ერთად გაზარდონ მანქანების კვანძებისა და აგრეგატების ხანგძლივობა, როგორ უხამებთ ამ ორ, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნას?**

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მანქანათმშენებლებს ყოველწლიურად სულ უფრო გამძლე, მაგრამ ამავე დროს იაფ მასალებს გვაძლევს. ტრადიციულ მასალებთან მათ გონივრულ შეხამებას მნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს. მოვიყვან ასეთ ციფრებს: ამასთან მათი მასა თითქმის 10 პროცენტით შევამციროთ.

— **ითვალისწინებთ თუ არა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უკანასკნელ მიღწევებს ხასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ავტომატარებლის კონსტრუქციაში ლითონტევადობის შემცირების თვალსაზრისით?**

— სოფლისათვის განკუთვნილ ახალ ავტომატარებელს ახასიათებს გადიდებული რესურსი — პირველ კაპიტალურ რემონტამდე ცუდ გზებზე 200 ათასი კილომეტრი გარბენა და ამავე დროს მცირე წონა. მანქანაში ფართოდ გამოიყენება ახალი მასალები. მაგალითად, ნიკელისა და მოლიბდენის შემცველი უხვად ლეგირებული ფოლადების გამოყენებამ საშუალება მოგვცა კაბის საავტომობილო ქარხნის ავტომობილებთან შედარებით გადაცემათა კოლოფის წონა 130 კილოგრამით შეგვემცირებინა და 27 კილოგრამით — ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მანქანებთან შედარებით. ხოლო ეგრეთ წოდებული მუხრუჭების საშორი სოლის სამუხრუჭე სისტემის გამოყენება თითოეულ მანქანაზე 80 კილოგრამამდე ლითონს გვიზოგავს.

მალე წინა ბუფერის დიდგაბარიტიან დეტალებსა და პანელებს აკუმულატორის ხუფები, გამთბობის რადიატორების გარსაცმებსა და სხვა კვანძებს პლასტმასისაგან დავამზადებთ და ლითონის ეკონომია ერთ ავტომატარებელზე კიდევ 82 კილოგრამს მიაღწევს, ეს კი ნიშნავს, რომ საწარმო ყოველწლიურად დაზოგავს 1600 ტონაზე მეტ ფურცლოვან ნაგლინს. (საქინფორმი).

ბირთვული ომი — კანონგარეშე!

ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის საზოგადოებრიობის მსოფლიო მოძრაობის რიგებში მეცნიერებს განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნებათ. მილიონობით ადამიანი ყურად იღებს მათ ავტორიტეტულ აზრს საშიშროების შესახებ, რომელიც ელის მთელ კაცობრობას, მთელ პლანეტას. გაფრთხილების სიტყვა სამი დღის მანძილზე გაისმოდა 19 მაისს მოსკოვში დამთავრებული მეცნიერთა საკავშირო კონფერენციის ტრიბუნიდან. საბჭოთა მეცნიერებთან ერთად ამ ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა საზღვარგარეთის დაახლოებით ორმოცდაათი მეცნიერი. მთელ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პაგუოშის მოძრაობის ხელმძღვანელები.

მოხსენება „მეცნიერება და მეცნიერთა პასუხისმგებლობა" გააკეთა პაგუოშის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მ. ა. მარკოვმა. მეცნიერთა მოვალეობა, განაცხადა მან, დღეს ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრი დაარწმუნოს, თუ რა ყალბია და, რაც მთავარია, რა საზარელია კაცობრიობისათვის გამალებული შეიარაღება როგორც ფაქტორი, რომელიც თითქოსდა მშვიდობას იცავდეს.

კონფერენციაზე გამოვიდნენ: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ა. ლოგუნოვი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რ. ზ. საგდეევი; პროფესორი დ. ფრეი (შვეიცარია); ბელგრადის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი ლ. რაკიჩი; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი ლ. ბოტა (შვეიცარია); სენატორი ნ. პასტი (იტალია); სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ს. ასიმოვი; უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ი. იუსუპოვი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ა. გრომიკო; მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბ. სენდოვი; ინდოეთის პარლამენტის წევრი, ჯ. ნერუს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ჰანი; პროფესორი ა. დირჰამი (სირია); აკადემიკოსი კ. ფუქსი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა); პოლონეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი მ. ნალენჩი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. ი. ნეფედოვი; აკადემიკოსი ბ. ბ. პიოტროვსკი.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა მსოფლიოს ყველა მეცნიერისადმი, რომელშიც მოუწოდებენ მათ გააერთიანონ მეცადინეობა, რათა დაიცვან ზოგადსაკაცობრიო კუთვნილება — საყოველთაო მშვიდობა ბირთვული მოსპობის საფრთხისაგან.

კონფერენციაზე დაფუძნდა აგრეთვე მშვიდობის დაცვისათვის, ბირთვული ომის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა მეცნიერების კომიტეტი. მას მეთაურობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ე. პ. ველიხოვი.

ლენინური გზით

მთავარდება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევარი. შესანიშნავი გეგმების განხორციელებაში ბევრი წარმატებაა მიღწეული. გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, განმტკიცდა მისი თავდაცვისუნარიანობა, ამაღლდა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმებმა კვლავ დაადასტურეს პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება იაროს წინ ლენინური გზით, განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებული კურსი. კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმული საბჭოთა ადამიანები მოლიანად უჭერენ მხარს ამ კურსს, უსაზღვროდ ენდობიან თავიანთ მებრძოლ ავანგარდს.

„როცა ჩვენ ვამბობთ: „ხალხი და პარტია ერთიანია!", — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეს იმ უცილობელი ფაქტის დადასტურებაა, რომ მიზნები და ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაისახა, ზუსტად გამოხატავს ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს. და ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხიც თავისი საქმეებით ახორციელებს პარტიის პოლიტიკას".

სკკპ XXVI კონგრესმა გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი, საერთაშორისო ურთიერთობის მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების აქტუალური პრობლემები აისახა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა სტატიებისა და გამოსვლების კრებულის მასალებში, რომელიც 1982 წელს გამოქვეყნდა.

ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყოველი წელი, ეს წელიც განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა. მან ჩაიარა სსრ კავშირის 60 წლისთავის ნიშნით, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, სოციალიზმის ისტორიული მიღწევების ბრწყინვალე დასტური გახდა. საბჭოთა კავშირი დღეს მთელი მსოფლიოს თვალში ერთსულოვანი ოჯახია თანასწორუფლებიანი ხალხებისა, რომლებიც ერთად აშენებენ კომუნიზმს. და ყოველ საბჭოთა რესპუბლიკას, თავისი შეუცვლელი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობაში, ხელს უწყობს მისი შემოქმედებითი ძალების არა უბრალო შეჯამებას, არამედ მრავალგზის გამრავლებას.

უდიდესი სარგებელი და უპირატესობანი მისცა ჩვენი ქვეყნის ხალხებს, მის რესპუბლიკებს ერთიან კავშირში გაერთიანებამ. ამასთანავე ასეთი გაერთიანების შესაძლებლობანი ჯერ სრულიადაც არ ამოწურულა. მათი რეალიზაციის გზები, პარტიის იმ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების პრობლემები, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ნაჩვენებია ამ კრებულში დაბეჭდილ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშუშევრებში; ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებებში „ლენინიზმი რევოლუციური ენერგიისა და მასების შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა" და „სსრ კავშირის სამოცი წელი", მის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ა. ალიევის სიტყვაში „ხალხთა მეგობრობის აღმშენებლობითი ძალა"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის მოხსენებაში „ჩვენ განვაგრძობთ დიდი ოქტომბრის საქმეს"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დ. ა. კუნაევის სტატიებში „ერთა თანასწორობისა და ერთიანობის ლენინური პრინციპები", და „მეგობრობისა და ძმობის დიადი ძალა"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ლენინგრადის სოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ვ. რომანოვის მოხსენებაში „გავზარდოთ მშრომელთა კოლექტივების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის სტატიაში „მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. შჩერბიცკის სიტყვაში საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ციელის 1500 წლისთავს და ქალაქისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის სტატიაში „ხალხთა დიადი ძმობა"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ვ. ზიმიანინის სიტყვაში „ვაჟკაცური შრომისა და გმირობისათვის".

სამეურნეო და კულტურული შენებლობის ყველა უბანზე საქმის მდგომარეობა ღრმად გაანალიზა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა. მან აღნიშნა მიღწეული დადებითი შედეგები და პარტიის ყურადღების ცენტრში დაიყენა ჯერ გადაუწყვეტელი პრობლემები. უმთავრესი ყურადღება დაეთმო მუშაობის სტილის სრულყოფას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. პლენუმმა კვლავ დაადასტურა პარტიის ხანგრძლივი სტრატეგია მეთერთმეტე ხუთწლედისა და მოლიანად 80-იანი წლებისათვის. მისი მიზანი ის არის, რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით სულ უფრო უკეთ ცხოვრობდნენ და რომ მათს შრომას სულ უფრო მეტი შედეგი მოჰქონდეს, რომ ჩვენი სოციალისტური წყობილება სულ უფრო ფართოდ ავლენდეს თავის ჰუმანურ არსს, თავის აღმშენებლობითს შესაძლებლობებს.

ამ სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა მიიღო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სტატიაში „სასურსათო პროგრამა და მისი რეალიზაციის ამოცანები" და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ვ. რომანოვის სტატიაში „ყველას და თითოეულს საქმე. სასურსათო პროგრამის შესასრულებლად ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკიდან", კრებულის სხვა მასალებში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ეს პროგრამა არა მარტო ძირეული შემობრუნებაა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების აღმავლობაში, არამედ თავისი ხასიათით და მასშტაბით იგი მოწოდებულია უზრუნველყოს მთელი სახალხო მეურნეობის პროგრესი. აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებმა, ნათქვამია წიგნში, დღითი დღე უნდა გააძლიერონ თავიანთი მეცადინეობა, იღვაწონ იმისთვის, რომ უზარმაზარი სახსრები, რომლებიც სასურსათო პროგრამის განხორციელებას ხმარდება, უკუგებას იძლეოდეს უკვე დღეს და უფრო მეტს — ხვალ.

ჩვენი პარტიის საპროგრამო ამოცანების რეალიზაციაში ახალი, უფრო ფართო შესაძლებლობანი, განვითარებული სოციალიზმის უპირატესობანი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, საბჭოთა და სამეურნეო კადრებისაგან მოითხოვს გააუმჯობესონ ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ეს პრობლემებია გაშუქებული კრებულის ფურცლებზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვებში, რომლებიც წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმებზე, 1982 წლის 15 ნოემბრის სამგლოვიარო მიტინგზე, მის მოხსენებაში „სსრ კავშირის სამოცი წელი"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ს. ა. ალიევის გამოსვლაში „ღრმად შევისწავლოთ საზოგადოებრივი აზრი"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის სტატიაში „აღვზარდოთ კომუნისტმისათვის აქტიური მებრძოლები"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს სტატიაში „კომუნისტთა პარტიის ავანგარდული როლი. მისი გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი პირობა. იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობის შესახებ" და მის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 12 ნოემბრის პლენუმზე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. შჩერბიცკის სტატიაში „საკადრო პოლიტიკა: გამოცდილება და პრობლემები"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმომხილველის ჯ. კინგისბერგენოვის კითხვებზე პასუხში ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ნათლად განაცხადა, რომ „ჩვენ არ გვსურს ევროპის ზონაში ვიქონიოთ არც ერთი რაკეტით, არც ერთი თვითმფრინავით მეტი, ვიდრე ნატოს ქვეყნებს აქვთ". საბჭოთა კავშირი მზად არის შეთანხმდეს ევროპაში ბირთვული პოტენციალების თანასწორობის შესახებ არა მარტო მატარებლების, არამედ საბრძოლო მუხტების მიხედვითაც, თუ რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება ინგლისისა და საფრანგეთის შესაბამისი შეიარაღება.

თავისი შექმნის დღიდან საბჭოეთი განუხრელად იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, საერთაშორისო თანამშრომლობის თანასწორუფლებიანობის კურსს. ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირი მზედველობაში იღებენ იმას, რომ საბამ იმპერიალიზმს უარი არ უთქვამს ჩამოყალიბებული ძალთა წონასწორობის დარღვევისადმი მისწრაფებაზე და სურს სამხედრო უპირატესობას მიაღწიოს, საბჭოთა შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველივე იმით, რაც საჭიროა სსრ კავშირის, მისი მოკავშირეებისა და მეგობრების დასაცავად.

საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებასთან, საერთაშორისო სარბიელზე მათ ერთიან მოქმედებასთან მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ურთიერთკავშირის საკითხები განხილულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVII სესიაზე, მის სტატიაში „ქვეყნად მშვიდობისათვის"; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის სიტყვაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXVI სხდომაზე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვის სტატიაში „ისტორიული გმირობა", მის პასუხში საკდესის კორესპონდენტის კითხვებზე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის სტატიაში „გიორგი დიმიტროვი და თანამედროვეობა".

კრებულის მთელი შინაარსი ადასტურებს იმ დასკვნას, რომ ლენინის პარტია, როგორც მეცნიერული კომუნიზმის პარტიის მოღვაწეობის მთავარი თავისებურებაა მოწოდებული რევოლუციური თეორიის ორგანული შერწყმა შუშათა კლასის რევოლუციურ პრაქტიკასთან, მასების სოციალურ აქტიურობასთან.

„პრავდა". 1983 წ. 20-V.

საფრანგეთში გამოიცა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის შრომების, სიტყვებისა და გამოსვლების კრებული

სოციალიზმის გზით

პარიზი. „სოციალიზმის გზით" — ასე ეწოდება გამომცემლობა „პერგამონ პრეს ფრანსის" მიერ გამოშვებულ წიგნს, რომელშიც შეიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის დასტამბული შრომები, სიტყვები და გამოსვლები. იგი გამოიცა მასობრივი ტირაჟით „მარქსიზმ-ლენინიზმის" სერიაში.

წიგნი იხსნება ი. ვ. ანდროპოვის სტატიით „კარლ მარქსის მოძღვრება და სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი სსრ კავშირში". ფრანგ მკითხველს სთავაზობენ აგრეთვე ი. ვ. ანდროპოვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოსვლებს 1964 წლიდან, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის გამო კრემლის საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებებს, პასუხს „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე, რომლებიც გამოქვეყნდა 1983 წლის 2 თებერვალსა და 27 მარტს.

საფრანგეთში წიგნის „სოციალიზმის გზით" გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „პერგამონ პრეს ფრანსის" პრეზიდენტ-გენერალურმა დირექტორმა ჟან მაქსველმა. ფრანგებს, ისე როგორც სხვა ფრანგულენოვანი ქვეყნების მცხოვრებთ, სურთ რაც შეიძლება კარგად გაეცნონ საბჭოთა ხელმძღვანელის შრომებსა და გამოსვლებს.

ბოლო თვეებში, თქვა შემდეგ ჟ. მაქსველმა, ჩვენ მუდამ ვეცნობით გაზეთებში ი. ვ. ანდროპოვის გამონათქვამებს მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემებზე, ბირთვული შეიარაღების შემცირებისათვის გამოზნულ მის წინადადებებს. საფრანგეთისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობა მოელის თავიანთი ხელმძღვანელობისაგან, რომ ისინი სეიფოზულად და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ წინადადებებს.

წიგნის — „სოციალიზმის გზით" — მკითხველები მასში იპოვიან კონკრეტულ პასუხს კითხვებზე, რომლებიც ეხება სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, თავიანთი სამშვიდობო მოთხოვნების მხარდასაჭერ ახალ არგუმენტებს. წიგნი დაინტერესებს იმათაც, ვისაც სურს უფრო მეტი გაიგოს საბჭოთა კავშირის, მისი ხალხის ცხოვრებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ინტერესით წაიკითხავენ ანგარიშს მოსკოვის ჩარხმშენებლებთან ი. ვ. ანდროპოვის შეხვედრის შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მივიდა ქარხანაში, რათა გულახდილად ესაუბრა მუშებთან, ტექნიკოსებთან და ინჟინრებთან იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ აღელვებთ დღეს. ეს შეხვედრა, ჩემი აზრით, კარგად გვიჩვენებს საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელის მუშაობის სტილს.

სსრ კავშირის პარიზის საელჩოში გაიმართა ფრანგი საზოგადოებრიობისათვის ი. ვ. ანდროპოვის წიგნის წარდგენის ოფიციალური ცერემონია. ცერემონიას ესწრებოდნენ თვალსაჩინო პოლიტიკური, პროფკავშირული და საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები.

ჟენევის მოლაპარაკებებზე

ჟენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გ. შტოლტენბერგმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბიუჯეტის გასავლის ნაწილი განსაზღვრულია 257,5 მილიარდი მარკით, სახელმწიფო დავალიანება იზრდება 39,5 მილიარდ მარკამდე.

იმისათვის, რომ შეაკავოს დეფიციტის ზრდა, რომელიც მეტწილად ეკონომიკაში კრიზისურმა მოვლენებმა განაპირობა, მთავრობამ შეიმუშავა სახელმწიფო თანხების „საგანგებო ეკონომიის" ღონისძიებანი.

თუმცა ბონში საჯაროდ აღიარებენ, რომ უმუშევართა უამისოდაც უზარმაზარი არმია უახლოეს თვეებსა და წლებში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, მიუხედავად ამისა, ახალი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს მკვეთრად შეუზღუდონ დახმარება უმუშევრებს. გაცილებით ნაკლები თანხები გამოიყოფა საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში, შრომავალშვილიანი ოჯახებისა და ინვალიდების დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საჭიროებისთვის.

ამავე დროს პროექტი ითვალისწინებს მეწარმეთათვის მთელი რიგ საგადასახადო შეღავათებს, რომლებიც სულ შეადგენს 3,5 მილიარდ მარკას. ამ ღონისძიებას ახორციელებენ „მრეწველობაში ახალი ინვესტიციების შესაძლებლობათა შექმნის" სახელით, რომლებიც, როგორც აქ ამტკიცებენ „გამოაცოცხლებენ კონიუნქტურას".

პროგრესულმა ძალებმა და პროფკავშირებმა მკაცრად გააკრიტიკეს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

ჩილე

დემონსტრაცია დედაქალაქში

ბუენოს-აირესი. „ჩვენ ვერ გაგვაჩუმებენ!", „გაუმარჯოს თავისუფლებას!"— ასეთი ლოზუნგებით ჩილეს დედაქალაქში გაიმართა პრესის მუშაკთა მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილეებმა გამოთქვეს გულისწყრომა პინოჩეტის სამხედროფაშისტური ხუნტის რეპრესიების გამო, მოითხოვეს მასობრივი ინფორმაციის დემოკრატიული ორგანოების მიმართ პრაქტიკულად რეჟიმის დრაკონულ ღონისძიებათა გაუქმება და პინოჩეტის საძულველ პოლიციის მიერ დაპატიმრებულ ჟურნალისტთა განთავისუფლება.

დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში მოიმწყო აგრეთვე ჩილეს რელიგიურ მოღვაწეთა მანიფესტაციები, რომლებმაც დაგმეს რეჟიმის ანტიხალხური კურსი. იუწყებიან, რომ, დიქტატურის მუქარის მიუხედავად, პროფკავშირული გაერთიანებები ამუშავებენ იმ ღონისძიებათა ერთობლივ პროგრამას, რომელთა მიზანია „ეროვნული პროტესტის დღეს", 11 მაისს, დაწყებული მიტინგებისა და დემონსტრაციების განგრძობა.

ხალხის მასების მოთხოვნის პასუხად გააუქმონ საალყო წესები და აღადგინონ ქვეყანაში დემოკრატიული უფლებები და მოქალაქეობრივი თავისუფლებანი, ხუნტის მეთაურმა მუქარით განაცხადა, რომ „იგი უფრო დაუნდობელი იქნება, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება", ამ ავბედითი განცხადების დადასტურება გახდა ტერორისა და რეპრესიების გაძლიერება.

ესპანეთი

დანაშაულებრივი პოლიტიკა

ამერიკელ სენატორთა და კონგრესმენთა განცხადება

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ძირს უთხრის ბირთვული იარაღის გავრცელებლობის დარგში საერთაშორისო მორიგებათა საფუძვლებს. ეს განაცხადეს აქ თვალსაჩინო ამერიკელმა სენატორებმა და კონგრესმენებმა. მათ კონგრესის ორივე პალატის განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს შეერთებული შტატებიდან ბირთვული იარაღის შექმნისათვის საჭირო მასალებისა და ტექნოლოგიის ექსპორტის შეზღუდვის გაძლიერებას. კანონპროექტის თანაავტორებს შორის არიან სენატორი დემოკრატები — ა. კრენსტონი, გ. ჰარტი, წარმომადგენელთა პალატის წევრები მ. იუდოლი, ე. მარკი, მ. ბარნესი, რ. ოტინგერი, გ. უოლპი.

რეიგანის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მსოფლიოში ბირთვული იარაღის სულ უფრო დიდ გავრცელებას, თქვა პრეს-კონფერენციაზე ა. კრენსტონმა (დემოკრატი, კალიფორნიის შტატისაგან), რომელმაც ამას წინათ განაცხადა, რომ აპირებს მიაღწიოს თავისი კანდიდატურის დასაწყებლად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან. პრეზიდენტი რეიგანი მეტად ზრუნავს ბირთვული სიკვდილით ვაჭრების ინტერესებისათვის, ვიდრე ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აღნიშნა მან.

კანონდებლებმა პრესკონფერენციაზე წარადგინეს ვაშინგტონის აფრიკის საქმეთა კომიტეტის დოკუმენტები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად გააქტიურა დახმარება სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმისთვის საკუთარი ბირთვული პოტენციალის შექმნის დარგში. ვაშინგტონსა და პრეტორიას შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება გამდიდრებული ურანის მიწოდების შესახებ, ფაშისტიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის ბირთვული იარაღის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიის მოყიდვა. ყოველივე ეს, აღნიშნულია დოკუმენტებში, ხორციელდება მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა 1982 წლის ოქტომბერში ოფიციალურად აღიარა, პრეტორია „ახლოდგას" საკუთარი ატომური ბომბის შექმნასთანო.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს პრეზიდენტ რეიგან

კრედიტი, ინიციატივა, საბოლოო შედეგი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ქალაქ ფოთში, მახარაძისა და საგარეჯოს რაიონებში განლაგებულ სამეურნეო ორგანიზაციებთან სახბანკის დაწესებულებებს საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფის ეკონომიკური ექსპერიმენტის მოწყობის შესახებ.

საქინფორმის კორესპონდენტმა ა. შარშუნოვმა სთხოვა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს ვ. პატეიშვილს გაეცნო ამ ექსპერიმენტის არსი, მისი მიზნები.

შეუწყობს ბანკის ექსპერიმენტი, არის მოთხოვნა, რომ შრომის ანაზღაურება უშუალოდ დაუკავშირდეს მუშაობის საბოლოო შედეგებს. რას ითვალისწინებს ექსპერიმენტი ამ თვალსაზრისით?

— ინერგება ხელფასის ფონდის ჩამოყალიბების ახალი წესი. იგი უნდა შეიქმნას პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ფულადი შემოსულობისა და მისი დამზადებისათვის გაწეული ხარჯების განსხვავებიდან. თავისთავად ცხადია, რომ ეს ხელს შეუწყობს თვითფინანსირებულების, ენერგიისა და მასალების დაზოგვის დავალებების შესრულებას, დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად დავალებათა რეალიზაციას და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფონდი შეიცავს შრომის ყველა სახეობის ანაზღაურებას მათ შორის — პრემიებს.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში უნდა იმოქმედოს პრინციპმა: განაწილება შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც წარმოებული და რეალიზებულია. ამიტომ ხელფასი შეიძლება გაიაეს მხოლოდ მაშინ, როცა დამზადებული პროდუქცია უკვე გაგზავნილია მომხმარებლებისთვის და მათგან მიღებული სახსრებიდან გადარიცხულია ფული მატერიალური ხარჯების კომპენსაციისათვის. შეტანილია გადასახადი ბიუჯეტში, გადახდილია ბანკის კრედიტის პროცენტები და ა. შ. ამასთან შრომის ანაზღაურების ოდენობა მთლიანად იქნება დამოკიდებული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე და საწარმოს, მეურნეობისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგებში თითოეული მუშაკის მიერ შეტანილ წვლილზე. საქმისადმი ასეთი მიდგომისას მართვის აპარატის მუშაკთა ხელფასი უკვე აღარ იქნება გარანტირებული სიდიდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ წუნისათვის ან ამა თუ იმ საწარმოს რეალიზებული პროდუქციისათვის პასუხისმგებლობას აქამდე კისრულობდა შესაბამისი დარგობრივი სამინისტრო ან უწყება, ახალი დებულების თანახმად, მუშაობის ჩაფუშვისათვის პასუხს აგებენ მოცემული საწარმო, მისი რიგითი და ხელმძღვანელი მუშაკები.

შრომის ანაზღაურების ახალი წესი ჯერჯერობით ინერგება რესპუბლიკის დედაქალაქის საქარხნო რაიონში მდებარე გრეხილი ავეჯის კომბინატში. დებულებებისა და მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ხარჯვის საჭირო ნორმატივების მომზადებისათვის მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს, რათა საწარმო 1984 წლის 1 იანვრიდან გადავიყვანოთ იმ ახალი სისტემით მუშაობაზე, რომელიც გამორიცხავს შრომის ანაზღაურებაში გათანაბრებას.

წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ კომბინატის გამართული მუშაობის პირობებში ყველა შესაძლებლობაა შეიქმნას საჭირო ფონდები და რეზერვები თავისი შრომის შედეგებით ყველა კატეგორიის მუშაკის მაღალი მატერიალური დაინტერესების უზრუნველყოფისათვის. ამის საშუალებას იძლევიან, ეკრძოდ, ფარმების განვითარების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი, სამეურნეო რისკის ფონდი, ხელფასის სარეზერვო ფონდი.

ხელფასის ფონდის ჩამოყალიბების ახალი მეთოდი, რომელიც ბულგარეთის სახალხო ბანკის მუშაობის გამოცდილებიდან ვისესხეთ, პრინციპულად ახალია. მისი არსი ის არის, რომ პროდუქციის წარმოებისათვის ხარჯების შემცირებისას საწარმოს ეზრდება რეალიზაციისაგან მიღებული მოგების ნაშთი, რომელიც ხელფასის ფონდს ქმნის, და პირიქით — მატერიალური რესურსების გადამეტხარჯვა და პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება ამცირებს ერთობლივი მოგების ნაშთს, რომელიც მომუშაეებთან ანგარიშწორებისათვის გამოიყენება.

— როგორია ექსპერიმენტის ქრონოლოგიური ეტაპები?

— ჩვენ ვაპირებთ ექსპერიმენტი „დავხვეწოთ“ თავდაპირველად ქალაქ ფოთში, მახარაძისა და საგარეჯოს რაიონებში. დიდ დახმარებას გვიწევენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები. მაგალითად, ფოთის, მახარაძისა და საგარეჯოს რაიონების პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ინიციატივით ყველა რგოლში ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გაძლიერებულია ბანკის მუშაკებით. თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში შრომის ანაზღაურების ახალი ფორმის დანერგვაში მნიშვნელოვნად გვიწყობს ხელს პარტიის საქარხნო რაიკომი.

ექსპერიმენტი თავდაპირველად მოეწყობა ფოთში, მახარაძისა და საგარეჯოს რაიონებში 1983-1984 წლებში, რათა 1985 წელს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ექსპერიმენტში ჩაბმული რეგიონების წრე, ხოლო 1986 წლიდან იგი გავავრცელოთ მთელ რესპუბლიკაში.

— ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მეურნეობრიობის ახალი მექანიზმისა, რომელსაც ხელს

აქტიურად ემზადებიან გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავისათვის მეცნიერები. ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებული დღესასწაულობის მომწყობმა რესპუბლიკურმა საიუბილეო კომისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, მისი ინსტიტუტების და დაწესებულებების სამზადისი ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის. საქინფორმის კორესპონდენტმა მ. ტრასკუნოვმა სთხოვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტს ა. ფარაჯიშვილს ეამბნა, თუ რა მუშაობას ეწევიან მეცნიერებათა აკადემიაში საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

უველა ხალხის ისტორიაში არის თარიღები, რომელთა მწვერვალიდან განსაკუთრებით ნათლად ჩანს მისი აწმყო და მომავალი. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი სწორედ ასეთი თარიღია, რომლითაც იწყება შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის, სამშვიდობოს ერთიანობის დროის თვლა. საქართველოს სწრაფი განვითარება რუსეთთან მისი დამოყვრების შედეგი გახდა.

ჩვენი ისტორიკოსები შეეცადნენ ყოველმხრივ გაეშუქებინათ გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის ხელმოწერის მომზადება, დასაბუთება, თვით ფაქტი, წარმოესახათ ამ დიდმნიშვნელოვანი აქტის პროგრესული შედეგები. ეს მოვლენა ღირსშესანიშნავი იყო არა მარტო იმით, რომ ქართველი ხალხი ფიზიკურ მოსპობას, უცხოელ დამპყრობთა დამნგრეველ შემოსევებს, მისი მრავალსაუკუნოვანი თავისთავადი კულტურის დაღუპვას გადაარჩინა, არამედ იმითაც, რომ სამართლიანად დაუკავშირა ერთმანეთს რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული ბედი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გაცხოველებით ემზადება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის. ეს საკითხი განიხილეს ისტორიკოსთა ტრადიციულ ბორჯომის შეხვედრებზე (1980, 1981, 1982 წლები). მალე პროფესორ გ. პაიჭაძის რედაქციით ვიხილავთ გეორგიევსკის ტრაქტატის ტექსტის აკადემიურ გამოცემას.

რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობის ისტორია, წინა ისტორია და თვით ტრაქტატის ხელმოწერა ასახუდა საერთაშორისო ვითარებასთან, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირით, წარმოჩენილია რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის რეაქციული არსი. გაშუქებულია საქართველოს დაჩქარებული სოციალური განვითარების პროცესი რუსეთთან შეერთების პირობებში, რუსეთისა და ევროპის ეკონომიკურ ურთიერთობაში ქვეყნის ჩაბმა, კაპიტალისტური წყობილების, ეროვნული კონსოლიდაციის განვითარება.

ისტორიკოსები დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ რუსეთის შემადგენლობაში ქართველი ხალხი არა მარტო მოწინავე რუსულ დემოკრატიულ კულტურას, არამედ სრულიად რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, ლენინური პარტიის დიად საქმეს ეზიარა, ჩაება ისტორიულ პროცესში, რომელსაც დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგად სოციალური განთავისუფლება და ეროვნული აღორძინება მოჰყვა.

მაგრამ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი კიდევ უფრო ღრმა შესწავლასა და გაშუქებას მოითხოვს.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — ეკონომისტები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ეთნომეცნიერები სწავლობენ ერთაშორისი ურთიერთობის განვითარების მრავალფეროვან ასპექტებს. მაგალითად, აკადემიის ეთნომეცნიერების ინსტიტუტში იკვლევენ 30-ზე მეტ ენას, რომლებიც ისტორიულად მჭიდროდ უკავშირდება ქართულს. იქმნება სხვადასხვაგვარი ლექსიკონები (განმარტებითი, ორთოგრაფიული, თარგმნითი, ტერმინოლოგიური), ამუშავებენ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების პროექტებს.

დიდი ყურადღება ეთმობა რუსული ენის, როგორც ერთაშორისი ურთიერთობის ენის, შესწავლასა და სწავლებას, ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან ერთად შექმნილია რუსული ენის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო. იგი აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს ეროვნულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების პრობლემებზე, ამუშავებს რუსული ენის შესწავლის გაუმჯობესების, ეროვნული სკოლების პროგრამების, სახელმძღვანელოების სრულყოფის პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ფილოსოფიის ინსტიტუტი ამზადებს მონოგრაფიას „საქართველო-რუსეთის ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორია“. დიდი გეოგრაფიის ვახუშტის მეცნიერულ მემკვიდრეობას იკვლევს გეოგრაფიის ინსტიტუტი. აქ აპირებენ მისი თხზულებების რუსულ ენაზე ახალი თარგმნის გამოცემას. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებულ ძიებაში ჩაებნენ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი და სხვები.

მოსკოვში მე-17-მე-18 საუკუნეების ქართველთა დასახლების შესახებ ახალ საყურადღებო მასალებს გვაძლევს ამუშავინელი გათხრები ყოფილი დონის კონსისტორის ტერიტორიაზე.

მოსახლეობის პატრიარქული და ინტერნაციონალური ... ისტორიისთვის დიდ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ჩვენს ქვეყანაში პირველი ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, რომელიც ერთაშორისო ურთიერთობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკორდინაციო საბაზო ორგანიზაციაა.

დასახულია მოეწყოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტებში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება სამეცნიერო სესიები.

იუბილეასთან დაკავშირებით საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და ხალხთა მეგობრობის მუზეუმში მოაწყობენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ სპეციალურ ექსპოზიციებს. დიდი პოპულარობით სარგებლობს შემორიალური სახლ-მუზეუმი „ქართული დასახლება მოსკოვში მე-17-მე-18 საუკუნეებში“. აქ გახსნილია მუდმივი გამოფენა, რომელიც წარმოაჩენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ღრმა ფესვებს. გამოფენა უკვე 50 ათასმა კაცმა დათვალიერა.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან, რათა სამეცნიერო ნაშრომებში უფრო ფართოდ და ღრმად გააშუქონ საქართველოს ბედისათვის ისტორიული აქტის უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

სამარადჟამო ძმობა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲜᲘᲐᲖᲘ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ნ. ზ. ნიაზის (ტაგი-ზადე-ჰაჯიბეკოვის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ



საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ნიაზი ზულფუგარის ძე **ნიაზი** (ტაგი-ზადე-ჰაჯიბეკოვი) დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. **1983 წლის 20 მაისი.**

ᲕᲘᲗ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ...

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენს დედაქალაქს ესტუმრა გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ჯაზჰარლალ ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის ნიაზის შემოქმედების საღამოს. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ეროვნული სამდივნოს წევრი, „პორტუგალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ბლასკო უგო ფერნანდეში, ჟურნალისტი, გაზეთ „კაპიტალის“ კორესპონდენტი მუნიშ კორდეირო. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა პორტუგალიის ფოლკლორული ანსამბლი.

20 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ მიიღო პორტუგალია-სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი ალისა სენა ლოპეში. დელეგაცია საბჭოთა კავშირში მიმდინარე პორტუგალიის კულტურის დღეების მონაწილეა.

ამბ. ო. ჩერქეზიამ გააცნო სტუმრებს ქართველი ხალხის უძველესი ისტორია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის

აღიარებულ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲜᲘᲐᲖᲘᲡ ᲖᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲔᲡ საღამო დიდხანს ეხსომება ყველას, ვინც დაესწრო სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ჯაზჰარლალ ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის ნიაზის შემოქმედების საღამოს. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯ. კახიძე, პოეტი და მთარგმნელი ლ. ერაძე, მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის — იმ რაიონების შრომელთა სახელით, რომელთა წარმომადგენლებიც თბილისში ჩამოვიდნენ კომპოზიტორის კონცერტზე დასასწრებად, ნიაზის მეუღლემ მარნეულის რაიონის ყარაღნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. სეიდოვი.

შემდეგ გამოვიდა ნიაზი, რომელმაც წრფელი სამადლობელი

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲜᲘᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ნიაზის გულითადად მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. მან წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის, მრავალი წლის ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ნიაზი დაჯილდოდეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, და გადასცა მუსიკოსს ეს ჯილდო. ნიაზის გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯ. კახიძე, პოეტი და მთარგმნელი ლ. ერაძე, მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის — იმ რაიონების შრომელთა სახელით, რომელთა წარმომადგენლებიც თბილისში ჩამოვიდნენ კომპოზიტორის კონცერტზე დასასწრებად, ნიაზის მეუღლემ მარნეულის რაიონის ყარაღნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. სეიდოვი.

შემდეგ გამოვიდა ნიაზი, რომელმაც წრფელი სამადლობელი ვანის სამადლობელად გაისმა საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ლაღიძის სიმფონიური სურათი „საჭიდაო“, რომელიც შთაგონებით შესრულეს ორკესტრმა და მისმა დირიჟორმა.

მსმენელები დიდხანს უკრავდნენ ტაშს კომპოზიტორსა და დირიჟორს ნიაზის, რომელმაც მათ მაღალ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარული მიანიჭა.

ნიაზის შემოქმედებითს საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. გაბუნია, პ. ბილაშვილი, გ. ენუქიძე, გ. კოლბინი, დ. ქართველიშვილი, ნ. ჭითანავა, თ. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. სარალიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

* * *

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა ნიაზის, აზერბაიჯანული მუსიკალური კულტურის სხვა წარმომადგენლებს. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ღვაწლმოსილ ხელოვანს მიულოცა იუბილე, წარმატებული გამოსვლა თბილისში, უსურვა ახალი წარმატებანი საბჭოთა მრავალეროვნული ხელოვნების საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

ᲛᲔᲥᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ეს სიმპოზიუმი საათვალავით მეოთხეა და ისევე, როგორც მეორე, საქართველოში ეწყობა. პირველი და მესამე სიმპოზიუმები 1974 და 1980 წელს იტალიაში მოეწყო, IV საერთაშორისო სიმპოზიუმი **გაიხსნება 23 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში და ათ დღეს გასტანს.**

სიმპოზიუმის მონაწილენი გაინახლავენ ქართული არქიტექტურის, მონუმენტური ქანდაკებისა და ფერწერის, გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების საკითხებს უძველესი დროიდან დღემდე, სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან ქართული ხელოვნების ურთიერთობის საკითხებს, ქართული ხელოვნებისა და ახლო აღმოსავლეთის და ევროპის ხელოვნების საერთო პრობლემებს.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე ინფორმაციები სიმპოზიუმისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ გააკეთეს სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გ. ნ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ვ. ბერიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მ. ოკუჯავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა ი. ნ. ციცაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოური ტურიზმის სამმართველოს უფროსმა ლ. ნ. მატარაძემ, სიმპოზიუმის მოწყობასთან დაკავშირებული სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, იმ რაიონების წარმომადგენლებმა, რომლებსაც ესტუმრებიან სიმპოზიუმის მონაწილეები, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა წარმომადგენლებმა.

სიმპოზიუმის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ მზადება სიმპოზიუმისათვის დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, სხდომამ დაავალა შესაბამის ორგანიზაციებს ყოველი ღონე იხმაროს, რათა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ეს საერთაშორისო ფორუმი მაღალ დონეზე ჩატარდეს.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი ნ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდებები.

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა“: **ᲘᲝᲡᲘᲤᲘ** მიხეილ სიმონის ძეს — მსახიობს, **ᲙᲐᲜᲘᲜᲘᲪᲔ** ბორის მიხეილის ძეს — მსახიობს, **ᲙᲘᲚᲝᲠᲐᲜᲝᲕᲘᲫᲔ** ელენე ალექსანდრეს ასულს — მსახიობს. **ᲛᲝᲠᲓᲐᲕᲜᲐᲕᲐ** გაიოზ ვუკოლის ძეს — მთავარ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა“: **ᲐᲠᲢᲔᲛᲝᲕᲐ** ლუდმილა ივანეს ასულს — მსახიობს, **ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ** ზამირა ვლადიმერის ასულს — მსახიობს; **ᲒᲠᲣᲖᲘᲪᲔ** ვოლემარ იანის ძეს — მსახიობს, **ᲯᲝᲜᲝᲕᲐᲕᲐ** ვალენტინა ივანეს ასულს — მსახიობს, **ᲙᲕᲘᲞᲘᲜᲝᲕᲘᲫᲔ** ირაიდა ვლადიმერის ასულს—მსახიობს, **ᲙᲣᲑᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ელიზბარ სოლომონის ძეს — მსახიობს, **ᲮᲘᲩᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲡ** ჯემალ შოთას ძეს — მსახიობს, **ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲝᲕᲐᲕᲐ** თამარ ვასილის ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“: **ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲝᲕᲐᲕᲐ** ნელი სააკის ასულს — რეჟისორის თანაშემწეს, **ᲗᲐᲮᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ტოროლა გიორგის ძეს — სცენის უფროს მემანქანეს, **ᲥᲐᲠᲘᲝᲜᲘᲫᲔᲡ** მიხეილ სიმონის ძეს — დეკორატორს, **ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘᲡ** ვაგარშაკ არტაზის ძეს — დეკორატორს.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ გაიხსნა პორტუგალიის კულტურის დღეები. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის გარდა, დღეები გაიმართება საქართველოსა და მოლდავეთში.

19 მაისს დღეების მონაწილენი თბილისში ჩამოვიდნენ. პორტუგალიის ოფიციალურ დელეგაციას მეთაურობს „პორტუგალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი ალისა სენა ლოპეში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის ეროვნული სამდივნოს წევრი, „პორტუგალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ბლასკო უგო ფერნანდეში, ჟურნალისტი, გაზეთ „კაპიტალის“ კორესპონდენტი მუნიშ კორდეირო. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა პორტუგალიის ფოლკლორული ანსამბლი.

20 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ მიიღო პორტუგალია-სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი ალისა სენა ლოპეში. დელეგაცია საბჭოთა კავშირში მიმდინარე პორტუგალიის კულტურის დღეების მონაწილეა.

ამბ. ო. ჩერქეზიამ გააცნო სტუმრებს ქართველი ხალხის უძველესი ისტორია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში მომხდარი ძირეული გარდაქმნები, ამოცანები, რომლებსაც საქართველოს მშრომელები წყვეტენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების წარმატებით განხორციელებისათვის.

მან აღნიშნა, რომ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ.

ამხანაგმა ო. ჩერქეზიამ გამოთქვა რწმენა, რომ პორტუგალიის დღეები სსრ კავშირში ისევე წარმატებით ჩაივლის, როგორც პორტუგალიაში ჩაიარა საბჭოთა კავშირის, კუბის, საქართველოს სს რესპუბლიკის დღეებმა. მან „პორტუგალია-სსრ კავშირის“ საზოგადოებას უსურვა დიდი წარმატებები მის კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს საქართველოში დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის. მათ უამბეს მასპინძლებს, თუ რა საქმიანობას ეწევა „პორტუგალია-

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველო-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, თავმჯდომარის მოადგილეები მ. მგელაძე და გ. ჩუბინიძე.

ამავე დღეს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკაში პორტუგალიის დღეების საზეიმო გახსნა გახსნაზე გამოვიდნენ გ. მელაძე და ალისა სენა ლოპეში. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ შეხვედრა საქართველოს მიწა-წყალზე ხელს შეუწყობს საბჭოთა და პორტუგალიელი ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების გაღრმავებას.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ პორტუგალიის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორულ ანსამბლის გამოსვლას.

პორტუგალიელი სტუმრები კვლავ ეცნობიან რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. მათ დაათვალიერეს ძველი თბილისის რესტავრირებული უბნები, ეწვივნენ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახალხო მხატვრის ი. ოჩიაურის სახელოსნოს.

სასტუმრო „აჭარის“ კონფერენცდარბაზში პორტუგალიის დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველო-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივს. (საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ 3

ᲓᲦᲘᲡ ᲛᲔᲡᲠᲘᲜᲒᲘᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

VIII '83

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. გთავაზობთ ფინალური ტურნირების პირველი ორი დღის შედეგებს:

I-VIII ადგილები. ლატვია--უკრაინა — 63:50, მოსკოვი-ყაზახეთი, — 81:74, რსფსრ-ლიტვა — 78:60, ლენინგრადი-ბელორუსია — 82:76, რსფსრ-მოსკოვი — 71:60, ლენინგრადი-ყაზახეთი — 96:82, ლატვია-ბელორუსია — 85:54, ლიტვა-უკრაინა — 85:69. სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (6-6) ლიდერთა ჯგუფში იყვნენ რუსეთის ფედერაციის, ლატვიისა და ლენინგრადის გუნდები.

X-XI ადგილები. სომხეთი-ყირგიზეთი — 87:83, ესტონეთი-უზბეკეთი — 60:54, ესტონეთი-ყირგიზეთი — 92:66, სომხეთი-უზბეკეთი — 73:67. ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერობდნენ სომხეთისა და ესტონეთის კოლექტივები.

XIII-XVII ადგილები. საქართველო-თურქმენეთი — 80:53, მოლდავეთი-აზერბაიჯანი — 79:73, ტაჯიკეთი-თურქმენეთი — 71:57, საქართველო-მოლდავეთი —71:57 ორი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი იყო საქართველოს ნაკრები — 4 ქულა.

ᲒᲣᲜᲓᲘᲜ ტაშკენტში დაიწყო ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო შეჯიბრება, რომელიც 2 იანვრს დამთავრდება. თავდაპირველად გუნდები 4 ჯგუფად იასპარეზებენ. „ა“ ჯგუფში გამოდიან სომხეთის, საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის, „ბ“ ჯგუფში — რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, ესტონეთის და ტაჯიკეთის, „გ“ ჯგუფში — ლენინგრადის, ბელორუსიის, მოლდავეთის და ლატვიის, „დ“ ჯგუფში — აზერბაიჯანის, ლიტვის, მოსკოვის, უზბეკეთის და თურქმენეთის გუნდები. ჯგუფებიდან ორ-ორი უძლიერესი ითამაშებს მთავარ ფინალში, მესამე ადგილებზე გამოსულები იასპარეზებენ IX-XII ადგილებისათვის, დანაჩენებები — XIII-XVII ადგილებისათვის. მატჩების რეგლამენტი ასეთია: რვა ერთეულთა და სამი წყვილთა შეხვედრა. მატჩში გამარჯვებისათვის საკმარისია 6 მოგება. გუშინ მხოლოდ „ბ“ ჯგუფის გუნდებმა ითამაშეს.

ᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲘᲡᲫᲘᲡ ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ, მეცხრე ტურში ე. გუფელდი და ე. გელერი სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. ამის შემდეგ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა გ. ზაიჩიკ-ზ. სტურუას პარტიას, რომელიც გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ზაიჩიკი და სტურუა ყაიმზე შეთანხმდნენ, უბილავამ მოუგო გ. გიორგაძეს, ზ. აზმაიფარაშვილმა კი — ბ. გურგენიძეს.

ამრიგად, 5,5-5,5 ქულით **პირველი-მეორე ადგილები** გაიყვეს დიდოსტატმა ე. გელერმა (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატმა ზ. სტურუამ. 24 წლის ზ. სტურუამ ჩინებული თამაში გვიჩვენა და გამოავლინა კარგი თეორიული მომზადება, მაღალი სპრძოლო თვისებები, შეუპოვრობა. 4,5 ქულა ერთბაშად ოთხმა მონაწილემ მოაგროვა: ზ. აზმაიფარაშვილმა, თ. გიორგაძემ, ე. გუფელდმა და ბ. ზაიჩიკმა. 3 ქულა აქვს ე. უბილავას, 2-2 ქულა — ბ. გურგენიძესა და გ. გიორგაძეს.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲯᲔᲚᲘ.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲚᲘ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 20 მაისი (საკმეხი). მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატი გაიმართება მექსიკაში, ასე გადაწყვიტა ფიფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა სხდომაზე, რომელიც შვეიცის დედაქალაქში გაიმართა.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲒᲔᲚᲡᲝᲠᲢᲘ. მშვიდობის ვეტერანთა ლიგის ქალთა გუნდების 22-ე საკავშირო ჩემპიონატი. კიევის სპარტაკელები მეთხუთმეტედ დაეუფლნენ ოქროს მედლებს. მეორე ადგილზე გამოვიდა კრასნოდარის „სელხოზტექნიკა“, მესამეზე — ბაქოს „ავტომობილისტი“.

რედაქტორი
Ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

1966 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ქალაქ ვოლგოგრადში 1983 წლის 15 მაისს გამართული 185-ე მოგებათა ტირაჟის

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგება ხვდა სესხის ას ერთიანი თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100142	1—50	40	127661	31*)	500	164404	29*)	500
100574	1—50	40	129445	40*)	1000	165072	32*)	500
100816	1—50	40	130095	50*)	500	166840	10*)	500
101022	1—50	40	131287	38*)	500	167352	36*)	500
101808	18*)	500	131363	1—50	100	167783	1—50	40
102047	41*)	500	131620	1—50	40	169411	15*)	500
102197	44*)	500	132857	14*)	5000	169415	46*)	500
102978	44*)	500	132967	36*)	500	169842	1—50	40
102983	1—50	40	133462	08*)	500	169927	49*)	2500
103389	1—50	100	133516	43*)	500	169998	15*)	500
103660	08*)	500	134075	18*)	500	170222	47*)	500
103987	02*)	1000	134632	25*)	500	170865	42*)	500
104115	03*)	500	135178	1—50	100	170951	04*)	1000
104159	1—50	40	135399	1—50	100	171412	30*)	2500
104548	34*)	500	137948	1—50	100	171578	32*)	500
104857	15*)	500	138491	08*)	500	171928	18*)	500
105744	1—50	100	138492	1—50	40	172575	33*)	500
105828	27*)	500	138585	21*)	500	172816	26*)	500
107212	11*)	500	139343	19*)	500	172849	34*)	500
107233	10*)	500	139548	25*)	2500	173128	34*)	1000
107355	09*)	500	139665	16*)	500	173447	1—50	40
108616	25*)	500	140008	32*)	500	173922	46*)	500
109700	1—50	40	140559	41*)	500	174101	10*)	500
110256	1—50	40	140918	30*)	500	174818	43*)	500
110439	1—50	40	142693	1—50	40	174990	1—50	100
110555	10*)	1000	143363	46*)	500	175621	1—50	100
110591	20*)	500	143517	10*)	500	176076	11*)	500
111415	1—50	40	143783	1—50	40	176246	29*)	1000
111538	35*)	500	143819	1—50	40	176899	47*)	500
111585	12*)	1000	144016	41*)	1000	177467	20*)	500
112173	36*)	1000	146084	1—50	40	177696	02*)	500
112360	41*)	1000	146421	24*)	5000	178288	1—50	100
112469	45*)	500	146516	21*)	500	178525	15*)	500
113749	16*)	500	146588	12*)	500	178657	15*)	500
113752	1—50	40	147285	14*)	500	179059	1—50	40
114147	24*)	500	148452	39*)	500	179115	25*)	500
115639	1—50	40	148744	45*)	500	180308	46*)	1000
116313	22*)	500	148787	18*)	500	183714	32*)	1000
117182	1—50	40	149494	42*)	500	183978	36*)	500
117712	45*)	1000	150084	1—50	40	184435	1—50	100
118236	32*)	1000	150223	1—50	40	184863	24*)	500
119717	06*)	500	152474	10*)	500	185943	33*)	500
120143	49*)	500	152971	1—50	40	186588	1—50	40
120265	37*)	1000	153100	21*)	500	186604	37*)	500
120695	1—50	40	154573	36*)	2500	187028	1—50	40
121111	37*)	500	154816	01*)	500	188109	39*)	500
121565	26*)	500	155255	41*)	500	189464	1—50	100
121949	32*)	500	155416	33*)	500	189664	30*)	500
122069	31*)	500	156068	1—50	40	190927	44*)	500
122503	10*)	500	156582	1—50	100	190935	17*)	500
123026	50*)	500	156678	47*)	500	191868	1—50	40
123198	09*)	500	156749	24*)	500	192077	1—50	40
123380	13*)	500	157119	23*)	500	192496	34*)	500
123474	41*)	500	157507	08*)	1000	193372	30*)	500
123507	18*)	500	158579	1—50	100	193559	1—50	40
123539	50*)	1000	158601	27*)	500	194794	47*)	500
124715	26*)	500	158969	1—50	40	195326	38*)	500
124944	1—50	100	159898	1—50	40	195369	34*)	2500
125113	12*)	1000	162452	01*)	500	196327	1—50	40
125633	03*)	500	162709	23*)	500	197759	14*)	500
126090	04*)	1000	163013	07*)	500	198353	41*)	1000
126115	1—50	40	163298	32*)	500	198902	1—50	100
126305	43*)	500	163713	48*)	500			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

1982 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ქალაქ ვოლგოგრადში 1983 წლის 15 მაისს გამართული მე-11 მოგებათა ტირაჟის

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგება ხვდა სესხის რვაკე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200479	1—100	100	237490	086*)	500	266471	013*)	1000
200515	039*)	500	237796	1—100	250	266810	080*)	2500
200777	057*)	2500	238169	028*)	500	266915	002*)	2500
200899	030*)	500	239022	1—100	100	267162	066*)	500
202511	053*)	500	239062	046*)	1000	268584	082*)	500
202574	083*)	1000	239356	013*)	1000	269562	1—100	250
202626	004*)	500	239768	021*)	2500	270327	1—100	250
203416	090*)	2500	239935	059*)	500	271186	023*)	1000
205578	1—100	250	240441	1—100	500	271318	1—100	100
205658	084*)	1000	240508	016*)	5000	271773	004*)	1000
208443	069*)	10000	241330	089*)	1000	272137	014*)	1000
208665	1—100	100	241630	1—100	100	272946	1—100	100
209812	015*)	1000	242046	067*)	1000	273336	053*)	500
211356	074*)	1000	242193	1—100	100	273870	067*)	500
211944	1—100	100	242281	087*)	1000	274693	1—100	250
212356	100*)	500	242536	1—100	100	276175	066*)	2500
213116	005*)	500	242808	030*)	500	276592	034*)	1000
214019	1—100	100	243181	1—100	100	277050	098*)	5000
214232	1—100	100	243682	075*)	2500	277258	021*)	500
214258	027*)	2500	244491	049*)	500	279102	024*)	1000
214978	1—100	100	244621	097*)	2500	279574	043*)	1000
215784	061*)	1000	244669	098*)	500	279911	054*)	2500
216068	1—100	100	244776	060*)	1000	280380	1—100	100
216165	1—100	250	245295	1—100	100	281118	1—100	250
216676	051*)	2500	245787	1—100	100	281281	1—100	100
217823	046*)	500	246048	052*)	500	281780	086*)	500
218375	090*)	500	246317	054*)	1000	283327	077*)	500
218434	032*)	1000	246335	028*)	500	283553	030*)	500
219968	010*)	1000	247404	060*)	500	283901	067*)	500
220100	063*)	1000	248353	082*)	1000	284196	1—100	250
220450	043*)	1000	248447	013*)	1000	285304	1—100	250
220470	040*)	500	248543	090*)	1000	286128	010*)	1000
221304	1—100	100	248567	1—100	100	286315	057*)	1000
221314	1—100	100	249680	034*)	500	287244	1—100	250
221763	1—100	100	249752	033*)	500	287255	1—100	250
221968	1—100	250	249997	051*)	1000	287461	091*)	1000
222488	1—100	100	250638	080*)	1000	287501	1—100	250
222783	036*)	1000	252175	028*)	1000	288617	1—100	250
223621	1—100	100	252797	1—100	100	288765	067*)	1000
223666	086*)	1000	252957	046*)	500	289793	015*)	2500
224052	1—100	100	253827	1—100	250	290521	066*)	1000
224109	1—100	250	254521	080*)	2500	291001	071*)	2500
225223	1—100	100	255079	1—100	100	292260	1—100	100
225494	047*)	500	255735	060*)	500	292338	1—100	100
225816	1—100	250	256529	013*)	1000	292534	002*)	500
225830	1—100	250	256719	052*)	1000	292835	1—100	100
226107	034*)	1000	256789	090*)	500	293361	038*)	500
228192	045*)	500	257219	029*)	2500	293703	002*)	5000
228794	081*)	2500	258698	1—100	250	293895	009*)	500
228926	1—100	100	258757	1—100	100	294817	1—100	250
230150	1—100	100	258838	020*)	5000	294873	011*)	500
230211	025*)	500	258863	080*)	1000	295116	011*)	500
230562	1—100	250	259050	009*)	5000	295381	1—100	100
232325	096*)	1000	259699	051*)	2500	295458	051*)	1000
232820	062*)	500	259757	1—100	100	295587	1—100	100
232848	051*)	500	259964	018*)	1000	296012	050*)	1000
233549	092*)	500	260157	1—100	100	296745	042*)	1000
234598	051*)	500	260445	040*)	2500	296890	018*)	1000
234772	100*)	2500	260772	033*)	1000	297100	1—100	100
235400	065*)	1000	261062	018*)	2500	297476	026*)	500
235964	1—100	500	261244	1—100	100	297679	060*)	1000
236209	1—100	250	261285	069*)	1000	298574	063*)	1000
236482	099*)	1000	262699	1—100	100	298658	055*)	500
236676	1—100	250	265075	069*)	500	299480	100*)	1000
237117	1—100	250	265336	039*)	1000	299729	014*)	500
237391	077*)	500	266205	048*)	500	299953	1—100	100
237425	079*)	1000	266341	1—100	250			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდა 100 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ოცდახუთმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება

ეს ცხრილები ოფიციალური დოკუმენტებია, რომლებითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ვოლგოგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე Ი. Ი. ᲨᲘᲠᲘᲜᲝᲕᲘ.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ᲔᲚᲘᲜᲐ.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობა და კინოსტუდია „ქართული ფილმი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07597 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთ-ჟურნალების შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, სამაგალითო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მურმანსკი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ქართული არქეოლოგია. გუშინ, დღეს, ხვალ“. 11.20 — ქართული მხატვრული ფილმი „გაქცევა განთიადისას. 12.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა თეატრზე“. 16.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.30 — „ქართული კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „ორი ოჯახის საიდუმლოება“. პირველი სერია. 18.10 მოსწავლეთათვის კონცერტი „საგაზაფხულო“. 18.30 — მუსტიპლიკაციური ფილმი „როგორ დაიკარგა მთვარე“. 18.40 — „ლენინური მეცნიერი — ბორის გერასიმოვი. 19.10 — პრემიერა ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „რეკონსტრუქცია“. 19.45 — „მოამბე“. 20.15 — „პარტიული ცხოვრება“. 20.50 — გადაცემა „მაია პლისეცკაია თბილისში“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — გადაცემა „მაია პლისეცკაია თბილისში“. (გაგრძელება). 23.20 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 17.10 — მასწავლებლის საათი — ხაზვა. 17.55 — კინონარკვევი „ბავშვები ხატავენ“. 18.05 — პიტერიენტთათვის — ქიმია. 18.50 — მუსიკალური შესვენება.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაუვიდა“. 10.00 „მოამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „საუკუნოდ რუსეთთან“. 11.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ორი ოჯახის საიდუმლოება“. პირველი სერია. 12.50 — ტელეუნივერსიტეტთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 12.20 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.30 — „დოკუმენტური ფილმი „ტიხონ ხრენიოვის გაკვეთილებზე“. 17.00 — „ქართული კინოს ისტორიიდან“. — მხატვრული ფილმი „ორი ოჯახის საიდუმლოება“. მეორე სერია. 18.05 — მოსწავლეთათვის — მუსიკალური სპექტაკლი „სათაგური“ (ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მიხედვით). 18.55—პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის „ცვლა“ („მუშათა დინასტია). 19.10 — განცხადებები. 19.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების საუნჯე“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ახალგაზრდობისათვის. „ცხოვრება კაცისა“ — მიხა ცხაკაია. 21.05 — ტურნირი კალათბურთში „ჩვენ 13 წლისანი ვართ“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — სპორტული პროგრამა. 1) „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე“. 2) საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. საქართველოსა და შვეიცის ნაკრები გუნდები. 23.20 — „გახსენება“ — კომპოზიტორი მანანა ცერცვაძე. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აჩუქი სილამაზე“. 16.50 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიატკური პანგები“. 17.50 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა. 18.35 — მუსტიპლიკაციური ფილმი „როგორ ეძებდა მელია განძს“. 18.50 — განცხადებები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუდნი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა“. 11.20 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 12.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ორი ოჯახის საიდუმლოება“. მეორე სერია. 13.25 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.55 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.25 — „ვერნისაჟი“ — საგამოფენო დარბაზებში (დავით კაკაბაძის პერსონალურ გამოფენაზე. (განმეორებით). 17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩვენ და ბუნება“. 18.45 — მოსწავლეთათვის „მე კომკავშირელი ვარ“. 19.20 — „სტუდია დიალოგი“ — „მწუხარებაი სხვისა სიკეთესა ზედა“... 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.55 — გ. ჯოხაძე. „ტანტრე ბიჭის ოჯახი“. სატელევიზიო სპექტაკლი. საქართველოს - ტელეეკრანზე“. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ტარიელ საყვარელიძე. 00.05 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. (საქართველოსა და რუმინეთის ნაკრები გუნდები).

მეორე პროგრამა. 16.40 — კინონარკვევი „ჩემი ბავშვობის ტბა“. 16.50 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 17.35 — მხატვრული ფილმი „შემთხვევა მოწმეების გარეშე“. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა 450 წლისაა“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი „სალავათი — ახალგაზრდობის ქალაქი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩვენ და ბუნება“. 11.25 — მხატვრული ფილმი — „ისიგვულის ალისფერი ყაყაჩოები“. 12.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი აგარაკი“. 13.30 — აბიტურიენტთათვის ბიოლოგია. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მუსტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — განცხადებები. 17.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „უდაბნო“. 17.25 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები“. 18.05 — ხალხური სიმღერის უკვდავება“. 18.50 — „პარტიული ცხოვრება“. 19.30— „მოამბე“. 20.00 — ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები (მ.)-. 22.00 — „ვრემია“. 22.35—„ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — კონცერტი — „უკრავს ეთერ ანჯაფარიძე“. 23.35 — საერთაშორისო ტურნირი . წყალბურთში. საქართველოსა და იტალიის ნაკრები გუნდები. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.55 — მოსწავლეთათვის — ქიმია. 17.25 — „ბავშვებისათვის — იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 17.35 — მასწავლებლის საათი— სსრ კავშირის ისტორია. 18.05— კინონარკვევი—„ბეელსკური მაქმანები“. 18.15 — — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 18.45 — კინონარკვევი —„გველები“.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 27 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლიანდაგები ბაიკალზე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იქ, მაგადანის მიწაზე“. 11.30 — მხატვრული ფილმი „შემოიჭრა“. 12.55 — კინოჟურნალი „ჰორიზონტი“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — მუსტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — განცხადებები. 17.05 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ — „მღერის იაკ იოლა“. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეგობრობის ხიდი“ (სსრ კავშირისა და ავღანეთის მეგობრობა). 17.55 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „მაისი, ლეკნი, სიმღერა“. 18.40 — „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის წინ“. 18.55 — „პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — შუბერტის მეხუთე სიმფონია. დირიჟორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე. 21.00 — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შესახვედრად. 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 21.55 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ ბეზეზე. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — რევაზ ჯაფარიძე. 24.00 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები.

მეორე პროგრამა. 16.40 — კინონარკვევი „ნემდის ნაპირებზე“. 16.50 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტრასა“. 17.30 — მასწავლებლის საათი — მათემატიკა. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.40 — რეკლამა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკ